პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

შაბათი, 23 აგვისტო 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 580

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 19

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია ტფილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.

დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.

ფრაქციის ბიურო.

სამხედრო-პარტიულ სკოლისკენ.

ჩვენ ღარიბნი ვართ მომზადებულ პარტიულ ამხანაგებით.

ღარიბნი ვართ არა მარტო სამხედრო ნაწილებში, არამედ სამოქალაქოშიაც.

ახალს და გასაკვირს ჩვენთვის ეს არას წარმოადგენს.

პარტია ჩაბმული იყო არალეგალურ მუშაობაში.

პარტიულ ამხანაგებს ნაკლებად ან სრულებითაც არ ეცალათ თეორიული ცოდნის შესაძენად.

დღეს კი აღმშენებლობითი ცხოვრებაში ვართ ჩაბმული.

გვეჭირვება მომზადებულნი პირნი.

პოლიტიკური განყოფილება წამ და უწუმ სთხოვს ცენტრალურ კომიტეტს საჭირო ამხანაგების მოცემას.

ცეკაც ხსნის ამხანაგებს ამა თუ იმ დაწესებულებაში.

მაგრამ შემდეგში ირკვევა, რომ ყველა მოხსნილი ამხანაგების მიღება პოლიტიკურ განყოფილებას არ ძალუძს.

იმ დაწესებულებასაც, სადაც სამობილიზაციო ამხანაგები იმყოფება არა ნაკლებ ჯარისა ესაჭიროება მომუშავენი.

ეს კი იწვევს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, დემობილიზაციას. ჯარი კვლავ პირვანდელ მდგომარეობაში ვარდება.

ერთი სიტყვით მდგომარეობა რთულია.

ამ მდგომარეობიდან საჭიროა გამოვიდეთ.

გამოსავალი ჩვენის აზრით ერთია. სამხედრო ნაწილი თვით უნდა ეცადოს მოიმარაგოს საკუთარი თავი პარტიული ამხანაგებით თავის წრიდან.

ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევს სამხედრო პარტიული სკოლა.

თანახმად წითელ-დროშოვან არმიის პოლიტ-სამმართველოს ბრძანებისა ა. წ. 20 აგვისტოდან № 110 ქართულ ჯარების პოლიტიკურ განყოფილებებს დათმობილი აქვთ ათი ადგილი.

თანახმად დებულებისა უნდა გაიგზავნონ ამხანაგები მხოლოდ საკუთარი სურვილით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს ჯარის რიგებში მყოფ ამხანაგებთა შორის ბევრი აღმოჩნდება მსურველი სამხედრო-პოლიტიკურ სკოლაში სწავლის მისაღებათ.

პოლიტიკური განყოფილებებიც უნდა ეცადონ, რაც შეიძლება უფრო მეტი მომზადებული, მეტი საქტივის და უნარის გამომჩენი ამხანაგები გადაგზავნონ სკოლაში.

ასეთ შემთხვევაში სკოლას დაედება უფრო მეტი ფასი ამხანაგების თვალში და სკოლიდანაც უფრო კარგ მომზადებულ ამხანაგებს მივიღებთ.

პოლიტიკურ სკოლიდან ახალი ამხანაგების მიღებით ჩვენ შევსძლებთ გავაძლიეროთ ჯარში პოლიტიკური მუშაობა და აღარ ვიქნებით ისეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორშიაც დღეს ვიმყოფებით.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკა.

უკანასკნელ დღეებში ოდესის ქალაქის საგუბერნიო აღმასკომში შემოვიდა დნესტრის მხარეში მოსახლეობის ყრილობების განცხადებები შუამდგომლობით, რათა შექმნილ იქნას მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკა. სოფელ სლობოდის და ტირასპოლის რაიონის 1000-მდე მცხოვრებლებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მიმართავენ საბჭოთა კავშირის ყველა მალდავანებს და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველა ერებს შეუძლიათ განაგონ თავიანთი საქმეები ნაციონალურ სურვილების მიხედვით.

სოფლელები ითხოვენ დაჩქარებულ იქნას საკითხის გადაჭრა მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ, როგორც უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის ფედერატიული ნაწილისა.

ასეთივე განცხადებები შემოვიდა სხვა მრავალ სოფლებიდანაც, სადაც სცხოვრობს მოლდავანთა დიდი უმეტესობა.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ.

„ფრანგული იდეალიზმის სული“

21 აგვისტოს თემთა პალატაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ლონდონის შეთანხმება სრულიად არ ეხება ვერსალის ზავს.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ის იძულებული იყო აერჩია ორში ერთი: ან კონფერენციის ჩაშლა, ან და დათმობა ევაკუაციის საკითხში.

მან უკანასკნელი იარჩია, რათა არ ყოფილიყო გარიყული.

პრემიერმა დასასრულს აღნიშნა, რომ ლონდონის მოლაპარაკებას თავს დასტრიალებდა ფრანგული იდეალიზმის სული, რის მეოხებითაც მიღებულ იქნა სამედიატორო სასამართლოს პრინციპი.

ნაციონალისტების პოზიცია.

გერმანიის რეიხსტაგის ნაციონალისტების ფრაქციის დამოკიდებულობა ლონდონის შეთანხმებასთან ჯერ კიდევ გამოურკვეველია. 21 აგვისტოს უნდა მომხდარიყო ნაციონალისტების თათბირი, რომელზედაც უნდა გამოეტანათ საბოლოო გადაწყვეტილებ.

ერიო: „განამტკიცა ევროპის ზავი“.

ფინანსთა მინისტრმა კლემანტელმა ქებათაქება შეასხა ერიოს, რომელმაც „თავისი თავგანწირული ენერგიით აღადგინა ნდობა და განამტკიცა თანხმობა მოკავშირეთა შორის და ადვილად მიაღწია იმ მიზანს, რომ გერმანიამ მართლაც თავის ნებით მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომელიც საფუძვლად დაედება სარეპარაციო საკითხს და განამტკიცებს ევროპის მშვიდობიანობას“

ინგლისის მუშები დოუესის გეგმის წინააღმდეგი არიან.

„დეილი ჰერალდში“ მოთავსებულია ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების ახალი რეზოლიუციები, რომლებშ აც მოითხოვენ მუშათა მთავრობისაგან უარყოს დოუესის გეგმა და მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია ახალი შეთანხმების გამოსამუშავებლად.

კონფერენციაზე მონაწილეობა უნდა მიიღონ გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა.

პოლონეთის პროვოკაცია.

რაკონცას მიდამოებში კვლავ გამოჩნდა პარტიზანული რაზმი.

პოლიციის ცდები შეიპყრას რაზმელები —ამაოა, ვინაიდან მათ ეხმარება გლეხობა.

„კურიერ პორანნი“ ჰორს ავრცელებს, ვითომც საბჭოთა ტერიტორიის სანაპირო სოფლებში თავს იყრიან პარტიზანული რაზმები, რომლებიც ამზადებენ თავდასხმას პოლონეთის ტერიტორიაზე.

მაკდონალდი საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

„დეილი ექსპრესს“-მა გამოაქვეყნა მაკდონალდის დეპეშა, საფრანგეთ-გერმანიის მომავალ სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. მაკდონალდი ამბობს: „მოსალოდნელ მოლაპარაკების დადებასთან დაკავშირებით, ბრიტანეთის სათანადო დეპარტამენტებს მიენდო მოამზადონ მოხსენებები. ერიო მაცნობებს მე თავის წინადადებას, რომელსაც ის წარუდგენს გერმანიას“.

გაზეთი დასძენს: ამ ჟამად მაკდონალდი იზიარებს სნოუდენის შეხედულებას, რომ მომავალი ხელშეკრულება შეიძლება საშიშო დარჩეს ბრიტანეთის ვაჭრობისათვის.

ფეიქართა კონგრესი

გაიხსნა საერთაშორისო გაერთიანების ფეიქართა პროფკავშირების კონგრესი. დაესწრო 91 დელეგატი ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დანიიდან, პოლონეთიდან, შვეიცარიიდან, ავსტრიიდან, და აგრეთვე ბადენისა და რეიხენბურგისა პროფკავშირებიდან.

კონგრესი შეუდგა „რუსეთის საკითხის“ განხილვას.

გაერთიანების მდივანმა შოუმ გააკეთა მოხსენება იმის შესახებ, რომ ეს საკითხი ირჩეოდა 1921 წელში პარიზის კონგრესზე, რომელზედაც დასმულ იყო სახითხი საბჭოთა პროფკავშირების მიღების შესახებ საერთაშორისო გაერთიანებაში. მიმდინარე პერიოდში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საბჭოთა პროფკავშირმა შეიტანა განცხადება მიღების შესახებ და განაცხადა სურვილი გაერთიანების წესდების დამორჩილებისა.

კომიტეტი ურჩევს შემდეგ რეზოლიუციას:

„საბჭოთა ფეიქართა პროფკავშირის მიღება გაერთიანებაში შეიძლება მას შემდეგ, როცა მოხდება შეთანხმება ამსტერდამის ინტერნაციონალსა და პროფინტერნს შორის, და პროფინტერნის შეერთების შემდეგ ინტერნაციონალზე“.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა კონგრესის მიერ ერთხმად.

კონგრესის სხდომა გრძელდება.

ინგლის-საბჭოთა შეთანხმების შესახებ.

მაკდონალდი და სნოუდენი.

„მანჩესტერ გარდიენ-“მა გამოაქვეყნა თანამშრომლის საუბარი სალაროს კანცლერთან, რომელიც მხარს უჭერს გაზეთის პროტესტს რურის ოკუპაციის გაგრძელების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ამის შემდეგ რურის ოკუპაცია ეწინააღმდეგება დოუესის გეგმას.

ლიბერალური გაზეთები განმარტებას უკეთებენ სნოუდენის განცხადებას და მაკდონალდის დაგვიანებულ წერილს ერიოსა და ტენისის მიმართ და ჰკითხულობს, რატომ რურის ევაკუაციის საკითხი არ იქნა განხილული კონფერენციაზე სხვა საკითხებთან ერთად.

„დეილი კრონიკლი“ აღნიშნავს, რომ მაკდონალდის პირდაპირი მოვალეობა იყო მოეხვეჲა მოკავშირეებისათვის ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისი შეთანხმების მიღწევამდი.

„ვესტმინსტერ გაზეთი“ ხაზგასმით აღნიშნავს უთანხმოების გაძლიერებას მაკდონალდსა და სნოუდენს შორის:

„ამ ორ მინისტრთა შორის შეტაკებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალ პოლიტიკურ შემთხვევებზე. სნოუდენი მიდიოდა სესხის მიცემისა და რურის ევაკუაციის საჩქაროდ მოხდენის წინააღმდეგ.

სესხის წინააღმდეგი იყო სნოუდენი ინგლის-საბჭოთა კონფერენციაზეც.

ამ ჟამად სალაროს კანცლერი ამზადებს ახალ ბიუჯეტს, რომელიც ეყრდნობა თავისუფალ ვაჭრობას და სოციალურ რეფორმებს, რაიც მთავარი ტუზია მუშათა პარტიისათვის პარლამენტის შემდეგ არჩევნებისათვის.

ამ ბიუჯეტის განხორციელებას ემუქრება საბჭოთა სესხი და მოკავშირეთა შეთანხმება“.

უნგრეთის პრესის გამოძახილი.

უნგრეთის გაზეთების დიდი უმეტესობა აღნიშნავს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას, რაიც აძლევს საბჭოთა კავშირს საშუალებას კვლავ დაიკავოს დიდი სახელმწიფოს ადგილი.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ ხელშეკრულებას აქვს დიდი მნიშვნელობა უნგრეთისათვის საბჭოთა-რუმინეთის კონფლიქტის გამო ბესარაბიის გულისთვის.

გერმანია

კომფრაქციის პროტესტი.

ფრაქციების ბელადებთან მოლაპარაკების შემდეგ მარქსმა მიიღო კომუნისტური ფრაქციის წევრები—რუტ-ფიშერი, კაცი და შტეკერი.

კომუნისტურმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ენერგიულად იბრძოლებენ დოუესის გეგმის წინააღმდეგ. კომუნისტების წარმომადგენლებმა შეეკითხენ მარქსს, ხომ არ ფიქრობს მთავრობა გაავრცელოს ამნისტია პოლიტიკურ პატიმრებზედაც და თანახმაა თუ არა მთავრობა მიანიჭოს პრესის თავისუფლება კომუნისტურ გაზეთებს და მისცეს შეძლება მსჯელობისა ლონდონის შეთანხმების გარშემო.

მარქსმა უპასუხა მიკიბულ-მოკიბული ფრაზებით, რის შემდეგ კომპარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს სასტიკი პროტესტი და შესწყვიტეს მოლაპარაკება.

უკანასკნელ საათში

შეერთებული შტატები და გერმანიის სესხი.

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს მისცეს ბანკირებს ოფიციალური გარანტია გერმანიის სარეპარაციო სესხის კარგად განაწილებისათვის. შეერთებული შტატების მთავრობა ურჩევს საზოგადოებას ხელი მოაწერონ სესხზე.

ერცბერგის მოკვლის შესახებ.

გერმანიის ნოტა უნგრეთის მიმართ.

ბუდაპეშტში მყოფმა გერმანიის ელჩმა წარუდგინა უნგრეთის მთავრობას ნოტა, რომელშიაც ის სთხოვს გერმანიის ძალებს მისცენ ერცბერგის მკვლელი—ჰენრიხ ფერსტერი.

მატეოტის დასაფლავება.

რატტა პალეზინოში—ჯარის, პარლამენტისა და აუარებელ ხალხის მონაწილეობით დაკრძალეს მატეოტის გვამი.

სამხ.-სლავიის სამხედრო ატაშეს მოკვლის განზრახვა.

ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, განიზრახეს სოფიაში მყოფ სამხრეთ-სლავიის სამხედრო ატაშეს-პოლკოვნიკ მალიკოვიჩის მოკვლა. მალიკოვიჩი გადარჩა.

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გამოუცხადა პროტესტი ბულგარეთს და მოითხოვა ამ შემთხვევის გამოძიება საჩქაროდ,

საბჭოთა ფედერაციაში

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსვლა.

დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოსვლა ოდესის, ხარკოვის, დონეცის ეკატერინოსლავის, ჩერნიგოვის, და კიევის გუბერნიებში.

პოდოლიის, ვოლინის და პალტავის გუბერნიებში გადასახადი შემოდის 11 აგვისტოდან.

ფინანსთა კომისარიატმა გასცა განკარგულება, რათა ყოველ სოფელში, რომელშიაც იმყოფება არა ნაკლები 1.500 გადამხდელისა, გახსნილ იქნას დროებითი სალაროები გადასახადების მისაღებად და მოაწყოს კოლექტიური ჩაბარება გადასახადისა.

საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტი.

17 აგვისტოს ბერლინში მოხდა სრულიად გერმანიის კონფერენცია, რომლის მიზანია სამხატვრო დახმარება გაუწიოს მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტს.

კონფერენცია სალამს უგზავნის რუს მეგობრებს.

რკპ-ს ცეკას დადგენილებით ეწყობა საკავშირო საბჭოთა კომიტეტი საერთაშორისო მუშათა დამხმარე საზოგადოებისა, რომლის წევრებად იქნებიან: რკპ-ს ცეკას ბავშთა დამხმარე ლიგის, გერმანიის და საერთ. მუშ. დამხ. საზოგადოების მოსკოვის განყოფილების წარმომადგენლები.

საგლეხო სესხი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში განაწილებულია საგლეხო სესხის ობლიგაციები 1.4500 მანეთის რაოდენობით.

უკანასკნელ დროს სესხის განაღდება სამჩნევად გაიზარდა.

184 სახლი მუშებს.

როსტოვის მუშათა რაიონებში გამოყოფილია: ლენინსკში—147 სახლი, ნახჩევანში—137. ეს სახლები მოითხოვენ და შემდეგ გადაეცემა მუშებს.

რადიო ყოველ მხრიდან.

ჩინეთი ახალ სამოქალაქო ომის წინ.

ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობების თანახმად ჩინეთში მოსალოდნელია ახალი სამოქალაქო ომი.

მოსალოდნელია კვლავ ინძრეს მიწა იაპონიაში.

ტოკიოში მყოფი „დეილის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონიის სხვა და სხვა რაიონებში შემჩნეულია მიწის სიღრმიდან ხშირი ბიძგი და ნაწილობრ მიწის ძვრა.

მოსახლეობაში დიდ შიშს იწვევს, როგორც ახალი მიწის ძვრის ნიშანი, ზღვის ძლიერი მოწოლა ნაპირზე.

ცეცხლი.

მისი აღმოჩენა, გამოყენება და შენახვა.

ცეცხლი და ორთქლი—აი დღევანდელი ტეხნიკის ქვაკუთხედი.

არ იყოს ცეცხლი არ იქნება ორთქლი და არ იქნება არც ის აუარებელი უზარმაზარი ფაბრიკა—ქარხნები, არ იქნება ამ ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოები.

იყო დრო, რომ ცეცხლი ადამიანმა ისე იცოდა, როგორც დანარჩენმა სხვა ცხოველებმა.

მხოლოდ ცეცხლის აღმოჩენამ, მისმა გამოყენებამ და შენახვამ, გაატარა ადამიანსა და დანარჩენ ცხოველებს შორის ის დიდი ზღვარი, რომელიც დღეს არსებობს.

არც ერთმა უმაღლესმა ცხოველმა არ იცის ცეცხლის საიდუმლოება.

ჩვენ ზევით უკვე ვსთქვით, რომ ძველად, ჯერ მაშინ კიდევ, როდესაც ქვეყნად მწერლობა არ იყო, არ იყო ისტორია—არ იცოდა ადამიანმა ცეცხლი.

როდის გაიგო და როდის გამოიყენა ადამიანმა ცეცხლი ამის თქმა ძალიან ძნელია, ძნელია ვინაიდან არავითარი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. არსებობს მხოლოდ მოსაზრება ამის შესახებ. ჩვენც ამ მოსაზრებას უნდა დავეყრდნოთ და მივიღოთ მასში ის, რომელიც ჭკუასთან უფრო ახლოს იქნება.

ზოგიერთი სწავლული (მეცნიერი) ფიქრობს, რომ ცეცხლის აღმოჩენა ეკუთვნის ჭკვიანი კაცის (გენიოსის) ტვინსო.

სხვანაირად რომ ვსთქვათ ისინი ამბობენ, ვითომც ყველაზე ჭკვიანი კაცი დაჯდა და დაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მიახწია მიზანს:

აღმოაჩინა ცეცხლი, გამოიყენა ის და კიდევაც შეინახაო.

მეორენი კი ფიქრობენ, რომ არაფერი ასეთი არ ყოფილა, ხალხი ცხოვრობდა ყოველ დღიურ ჭირვარამისათვის. მათ ზრუნვა სჭირდებოდათ, და აი სწორედ ამ ზრუნვაში საქმიანობის დროს შეიგნო ადამიანმა ცეცხლის მნიშვნელობა და კიდევაც გამოიყენა ისო.

ჩვენ მისაღებად და სწორად ეს მეორე აზრი მიგვაჩნია.

მართლაც და რა საჭირო იყო ან ვის ეცალა ეფიქრნა და ცეცხლის მნიშვნელობა გამოერკვია.

პირველ-ყოფილ ადამიანს ცეცხლი შეეძლო ორი უმთავრეს წყაროდან ენახა. ერთი წყარო ეს ელვის მიერ გაჩენილი ცეცხლია. მეორე კიდევ ვულკანიური მთების აღმოხეთქის გამო.

ეს ორივე მოვლენა ისეთი ძლიერებით ხდება, რომ მის წინაშე შეკრთებოდა ყოველი არსი; არამც თუ პირველ-ყოფილ ხანაში, დღესაც დიდი შიშის ზარის დამცემნი არიან.



მადაკასკარის მცხოვრები გახვრეტით ცეცხლს აჩენს.

ელვის მიერ გაჩენილი ცეცხლი მთელ ტყე და ველს ედებოდა. იწოდა ალბათ ვეებერთელა ხეები. გარბოდენ ტყიდან მხეცნი და ნადირნი, ადამიანიც, როგორც შეუგნებელი და განუვითარებელი, ცხოველისებრ მოიქცეოდა, გაიქცეოდა მაგრამ ისე, როგორც ყოველი ცხოველი: საშიშროებას ჯერ გაექცევა, მერე კი უკან ცქერას იწყებს, თუ საშიშროება კვლავ ელის მოქუსლავს, თუ არა გაჩერდება და სეირს უყურებს.

ასე იქცეოდა ადამიანიც.

შემდეგ ცეცხლი თანდათან იკლებდა, დაცხრებოდა; ადამიანიც მიუახლოვდებოდა მას, მიახლოებაში კი აღმოჩნდა, რომ ცეცხლი იძლევა სითბოს. გარდა ამისა ადამიანმა შეიგნო ისიც, რომ ის ყოველდღიური საჭმელი ხილი და ნადირის ხორცი, რომლითაც ადამიანი იკვებებოდა, გაცილებით გემრიელი იყო ცეცხლზე მიტანის შემდეგ ვინემ უმი.

შეიგნო ეს ადამიანმა და უმი ხორცის მაგიერ შემწვარს დაუწყო ჭამა.

აგრეთვე შენიშნა მან თავის პატარა ბავშზე, რომ შემწვარ ხორცს ის უფრო ადვილად ინელებდა შეუმწვარზე.

ამ რიგად გამოიყენა მან ცეცხლის ერთი მხარე—სითბო.

მეორე უმთავრესი მხარე ცეცხლის ეს სინათლეა. ესეც ადვილად შეიგნო ადამიანმა. მან შენიშნა, რომ იქ, სადაც ცეცხლია, დანახვა ადვილია, სადაც არა, შეუძლებელია ან ძნელი.

ამან კი ცეცხლის მეორე მხარის გამოყენება შეასწავლა.

მაგრამ ეს ცოტაა.

შემდეგში ადამიანმა ცეცხლი გამოიყენა არა მარტო სითბოს და სინათლის მისაღებად, არამედ ცეცხლით იცავდა იგი თავს მხეცებისაგან. სხვა რა შორს წავიდეთ, ჩვენში დღესაც ანთებენ ცეცხლს მთის ყანებში დათვი რომ არ მიეკაროს.

დათვი მართლაც იშვიათად მიდის.

ხალხში დღესაც არსებობს აზრი ტყეში, ან მინდორში თუ ხარ, ცეცხლი უნდა გააჩაღო, ვერაფერი მოგეკარებაო.

ეს ერთავად მართალია. და თუ მართალია დღეს, მაშინ რა იქნებოდა უხსოვარ წარსულში.

ეხლა ჩვენ ვიცით, რომ ადამიანმა შეიგნო ცეცხლის ორი უდიდესი მხარის მნიშვნელობა. სითბო და სინათლე.



ავსტრალიელი ხის ხანგრძლივი ხვრეტით აჩენს ცეცხლს.

მაგრამ ეს ხომ საკმარისი არაა?

საჭირო იყო მისი აღმოჩენა ან, უკეთ რომა ვსთქვათ, ცეცხლის გაჩენის უნარი, ხერხი.

არც ამაზე დასჭირვებია კაცს ფიქრი და გონება. იგი მან შეიგნო საქმიანობით. ხეს-ხეზე უსვავდა. სრულიად არ ფიქრობდა ცეცხლზე. უნდოდა სხვა რამ გაეკეთებია; ამ მუშაობის დროს შენიშნა, რომ ხის ხეზე ხახუნი ცეცხლს იძლეოდა.



ავსტრალიელი ხის ხახუნით აჩენს ცეცხლს.

ამ დაკვირვებამ მიახვედრა ის ცეცხლის აღმოჩენას.

ამ დღიდან მან შესძლო ცეცხლის გაჩენა და მისი გამოყენება.

აკლდა კიდევ ერთი რამ, ეს იყო შენახვა.

ცეცხლის შენახვასაც დიდ ყურადღებას აქცევდენ. ისწავლეს მისი ხერხი.

გაალმერთეს ცეცხლი.

კერა შეიქნა ღვთაება. მის გარშემო თავს იყრიდენ მრავალნი და ამ რიგად საფუძველი ჩაეყარა ოჯახს.

ჩვენში დღესაც კი ამბობენ, ნუ გაეყრებით ერთმანეთს, კერას ნუ დაარღვევთო.

ცეცხლს, კერას დიდ პატივს სცემდენ. მოხეტიალობის დროს ის ადგილიდან ადგილზე გადაქონდათ. თუ ვინმეს კერა ჩაუქრებოდა, მაშინვე მეზობლიდან მოიტანდა ნუგუზალს და კვლავ გააჩაღებდა.

ცეცხლის დაკავება დიდ ცოდვად ითვლებოდა. თუ ცეცხლს მიიღებდი ვინმედან მაშინ მეგობრობა მყარდებოდა თქვენსა და მის შორის. აფრიკის ველურებში დღესაც კი არსებობს ასეთი ადათი თურმე.

ცეცხლის შენახვისათვის სხვა და სხვა საშუალებას მიმართავდენ. აბედის მგზავსი მაშინაც არსებობდა.

ჩვენში ხომ დღესაც არსებობს ცეცხლის ჩახვევა სოფლად და მისი შენახვა.

ამ რიგად უბრალო დაკვირვებით ადამიანმა შეიგნო ცეცხლის აღმოჩენა, მოხმარება და შენახვა.

დღეს კი ცეცხლს უაღრესი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში.

იგი გვაძლევს ორთქლს, რომელსაც მრავალი მანქანები მოყავს მოძრაობაში. მანქანის მუშაობით მოძრაობაში მოდის ვეებერთელა ქარხნები და ფაბრიკები. ამ ფაბრიკების ნაწარმოები არის სწორედ ის რაც ჩვენ გვჭირდება სმა-ჭამისთვის და საზოგადოთ ჩვენი ცხოვრების მოწყობისათვის.

ბ.

ჩვენი წითელი ჯარი

Ვ. ᲯᲣᲦᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲡ.

13 აგვისტოს მოხდა მეხუთე ტერლეგიონის მეორე კომუჯრედის მორიგი სხდომა.

კრებას დაესწრო წევრების მთელი შემადგენლობა და მრავალი უპარტიო წითელი არმიელები.

კრებამ ფრიად საყურადღებო საკითხებზე მოისმინა მოხსენებები.

პირველი მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მელიქაძე, რომელმაც მკაფიოდ გაშალა თავისი თემა, აღნიშნა მიმდინარე საერთაშორისო ძალთა ჭიდილი და მათი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან. მოხსენება მეტად შინაარსიანი იყო.

მეორე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ქვარცხავა—სასოფლო სამეურნეო გადასახადების შესახებ და აღნიშნა მისი მნიშვნელობა.

მესამე საკითხად დასმული იყო ვალიკო ჯუღელის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბახტაძე, რომელმაც დაწვრილებით გადაშალა ჯუღელის საქმენი-საგმირონი, რომელიც ამან ჩაიდინა საქართველოს მშრომელი ხალხის წინაალმდეგ. გამოვიდენ სხვებიც, რომლებიც მიუთითებდენ მის სისაძაგლეზე.

კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ვალიკო ჯუღელი, ეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების მშრომელი ხალხის ამწიოკებელი, როგორც მენშევიკურ-ბანდიტური მოძრაობის ორგანიზატორი, საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგი და მშვიდობიანობის დამრღვევი უნდა გასამართლდეს სახალხოთ და მიენიჭოს უმაღლესი სასჯელი. რეზოლიუციას კრება ტაშის ცემით მიეგება.

ცხენისწყლისპირელი.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘᲐ.

თბილისის საყოველთაო სამხედრო მომზადების პუნქტები პირველ ხანებში დიდ სივიწროვეს განიცდიდენ მატერიალურად.

არ მოგვეპოებოდა ისეთი უმნიშვნელო ნივთებიც კი, როგორც იყო საწერ კალამი, ქაღალდი და სხვა. წვევამდელებს ფეხზე დგომით უხდებოდათ პოლიტსაათების მოსმენა და სხვა. არ მოიპოებოდა დასაჯდომი სკამები.

ყურადღება ნაკლებად გვექცეოდა.

ბოლოს მივმართეთ ქ. თბილისის აღმასკომს დახმარების აღმოსაჩენად, რომელმაც ჩვენი პუნქტების საჭიროებისათვის გადასდო 4000 მანეთი. ამ თანხებმა სრულიად შესცვალა აღნიშნულ პუნქტების მდგომარეობა და ყოველ მხრივად მოვეწყვეთ.

ეხლა მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს და იმედი გვაქვს შემდეგი გაწვევისათვის საკმაოდ მომზადებულ ახალგაზრდებს გადავცემთ წითელ ჯარის რიგებს.

ყურადღებისათვის დიდი მადლობა ჩვენგან თბილისის აღმასკომს.

სტურუა.

ᲛᲔᲢᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲔᲑᲘ.

თუ კი მესამე ლეგიონის უფშემადგენლობის შესახებ ითქმის რამე, რომ ისინი სათანადოთ მუშაობენ ლეგიონის ფეხზე დაყენებისათვის—პირველად ყოვლისა ეს უნდა ითქვას ორ ენერგიულ ამხანაგებზე.

ესენი არიან ამხ. ამხ. ბასიკაშვილი და სვ. მესხი. ორივე ძლიერ ენერგიულად აწარმოებენ მუშაობას. ყოველგვარი დავალებები მათდამი სრულდება სასწრაფოდ და პატიოსნად.

ლეგიონის კულტურული მუშაობის ასპარეზზე პირველი ადგილი უჭირავთ ამხანაგებს. ითვლებიან დრამწრის წევრებად.

ხშირად დაინახავთ ამხანაგებს წითელ არმიელებთან-საუბარში ჩამბულს. ელაპარაკებად და არკვევენ მათ სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებში.

სამწუხაროთ ეს ენერგიული პიროვნება ამხ. სვ. მესხი მოყვა წმენდაში, რამაც ძლიერ დააღონა მთელი ლეგიონი.

ჩვენმა ბიურო-კოლექტივმა და ლეგიონის პოლიტშემადგენლობამ შუამდგომლობა აღძრა დივიზიის წინაშე, რათა ამხ. მესხი, როგორც სანდო, პატიოსანი და ენერგიული მუშაკი დაბრუნებული იქნეს ლეგიონში თავის ადგილზე.

პარტკორი—**გრ. კოკაია.**

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ.

7 აგვისტოს სურამის საზაფხულო თეატრის დარბაზში მოეწყო მსოფლიო ომის ათი წლის თავის გამოსაპროტესტო საღამო. საღამო შესანიშნავ ხელოვნებით იქნა მოწყობილი, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

ფარდის ახდისას დარბაზის სხვა და სხვა ადგილებიდან გაისმა წინდაწინ მომზადებულ ამხანაგების მჭექარე ხმები ომის წინაალმდეგ.

სცენაზე გამოჩნდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის სურათი, რომელსაც იქით აქეთ უდგას საპატიო ყარაული.

ლენინის ცხოვრების შესახებ სიტყვით გამოვიდა პოლიტხელი ამხ. ჩხაიძე. მან ბევრი ძვირფასი და საყურადღებო ცნობები მოიყვანა ლენინის, როგორც პარტიაში მუშაობის, ისე კერძო ცხოვრების დროიდან.

დასასრულს დაიდგა ერთაწმინდელის რევოლიუციონური შინაარსის პიესა „დაჭრილი ორბი“

შემდეგ გაიმართა ლექსთა თქმა, გამოდიოდენ წითელ არმიელები თავისი შემოქმედებით.

საღამო მშვენივრად იქნა ჩატარებული და დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისაგან.

ძლიერ გვიშლიდა ხელს დარბაზის სივიწროვე.

სამხკორი—**ს. ოგანოვი.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ქართულ დივიზიის უმცროს მეთაურთა სკოლაში პოლიტ-საათი დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღიურად დილის 7—8 საათამდე, პროგრამის მიხედვით, საკითხების წინასწარი გათვალისწინებით, კითხვა-პასუხის და ზოგჯერ საუბრის სახითაც.

კურსანტთა დიდი უმრავლესობა ალიჭურვა კლასიური ცოდნით, შეიგნო თანამედროვე ცხოვრება.

პოლიტ-საათისათვის სწარმოებს კურსანტების ჯგუფებად დაყოფა, რათა უფრო მიზანშეწონილი და ნაყოფიერი იქნეს ჩვენი პოლიტ-მუშაობა.

რაც შეეხება საწრეო მუშაობას, ამ ბოლო ხანებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ არაა ისე დაყენებული, როგორც შეშვენის დივიზიის უმცროს მეთაურთა სკოლას და არც შეიძლება იქნეს ადგილობრივი პირობების გამო.

მაშინ, როდესაც დივიზიის პაწია ნაწილები ამაყობენ კლუბით, წრეების ხელმძღვანელებით—მოზრდილ ნაწილს, მით უმეტეს სკოლას, ასეთი არაფერი გააჩნია. ამისათვის შესაფერისი შტატი არა ჰყავს.

მუშაობა სწარმოებს დავალებებით, სამხკომს არა ყავს თანაშემწე, არც ორგანიზატორი და არც საკმაო რიცხვი პოლიტხელებისა.

საჭიროა პოლიტგანყოფილებიდან ყურადღების მიქცევა და სკოლაში პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად შესაფერის შტატის გამომუშავება.

ე. ცომაია.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲔᲣᲚᲨᲘ.

14 აგვისტოს შესდგა ლეგიონის მეორე კომუჯრედის ზურგის ასეულის პარტიულ და უპარტიო ამხანაგების საერთო კრება.

გასარჩევი იყო მეტად საყურადღებო საკითხები.

პირველი მოხსენება გაზეთებიდან კვირეული მიმოხილვის სახით გააკეთა ამხ. ჯაფარიძემ.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. გოგუაძე, რომელიც აღნიშნავს ცნობილ ბანდიტ ვალიკო ჯუღელის საგმირო საქმეებს საქართველოს მშრომელთა წინაალმდეგ და აგრეთვე ხაზს უსვამს მის ახალ განზრახვებს საქართველოს საბჭოთა მთავრობის დასამხობად მიმართულს, რისთვისაც ის სპეციალურად ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან.

კრებამ ერთხმად დაადგინა: აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ საგანგებო კომისიის მიერ შეპყრობილი საქართველოს მშრომელთა ამწიოკებელი გასამართლებული იქნეს ისე, როგორც ეკუთვნის მშრომელთა ძალაუფლების წინაალმდეგ მებრძოლს და დაუძინებელ მტერს.

შემდეგ კრებამ აირჩია ლენინის კუთხის გამგე და გაირჩა რამოდენიმე საყურადღებო საკითხები ასეულის ცხოვრებიდან.

ონოფრიადი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐᲨᲘ.

ცალკე საკავშირო ასეულს აღებული აქვს შეფობა ბანაკის ახლო მდებარე რამოდენიმე სოფლებზე. ჩვენი მუშაობა გლეხებში არ შემოიფარგლება სხვა და სხვა სოფლის სამუშაოებზე დახმარებით. ჩვენ კულტურულ დახმარებასაც უწევთ ჩვენ საშეფო სოფლებს.

ხშირად ვმართავთ წარმოდგენებს. ადგილობრივ პარტ ორგანიზაციებზე მიმაგრებული ჩვენი ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მუშაობას, ხშირად ვაგზავნით მომხსენებლებს ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხების გასაშუქებლად, ვაგზავნით ჟურნალ-გაზეთებს და მრავალ სხვა.

16 აგვისტოს ჩვენი შეფობის ქვეშ აყვანილ სოფ. ზანაში გავმართეთ წარმოდგენა.

ეს სოფელი ძლიერ ჩამორჩენილია განათლების მხრივ. ხალხი სიბნელესა და უმეცრებაში იხრჩვება. წარმოდგენის დაწყებამდე გაკეთებული იქნა მოხსენება ამხ. მონიავას მიერ, რომელიც შეეხო შეფობის მნიშვნელობას და კერძოთ აღნიშნა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია საკავშიროელების სოფ. ზანაში გლეხობასთან ასეთ დაახლოებას.

ხალხი ბლომად მოგროვდა წარმოდგენაზე. არ აკლდა მოხუცი დედაბერიდან დაწყებული პაწია ბავშებამდე. წარმოდგენამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სოფლელებზე.

შესრულებული იქნა წითელ არმიელების მიერ რამდენიმე სიმღერები და ბოლოს გაიმართა ცეკვა თამაში, რომელშიდაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ადგილობრივმა ახალგაზრდობამ. სოფელში თან წავიღეთ გაზ. „წითელ არმიელი“ 30 ცალი და სხვა გაზეთები.

სერმონია.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ჩვენს ლეგიონში გაერთიანებული კრებები სისტემატიურად იწვევა, სადაც კეთდება მოხსენებები და ირჩევა სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხები.

ერთი ასეთი მორიგი გაერთიანებული კრება მოხდა 19 აგვისტოს.

თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შემდეგ, კრება შეუდგა დღიურ წესრიგის ამოწურვას.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება—თანამედროვე მენშევიკების ტაქტიკა და ჩვენი ამოცანები, 2) კლუბის გამგეობის არჩევა და 3) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის გარშემო მოსმენილი იქმნა ამხ. კაკაბაძის ვრცელი მოხსენება.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა სათანადო რეზოლიუცია, რომელშიაც წითელ არმიელები და უფპოლიტშემადგენლობა ზიზღს უცხადებენ მენშევიკებს და ფიცსა სდებენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ კომუნისტური რევოლიუციისათვის.

კლუბის გამგეობის არჩევის შესახებ ილაპარაკა ამხ. ვას. კაკაბაძემ და მოუწოდა ამხანაგებს გამგეობის არჩევნებისადმი.

მიმდინარე საკითხებში შედიოდა—საკითხი ლიტერატურის გავრცელების შესახებ, რომლის შესახებ მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. ლომთათიძე.

კრებამ დაადგინა: დაევალოს უფპოლიტშემადგენლობას გამოიწეროს ერთი რომელიმე ადგილობრივი გაზეთი და, მათ შორის, მოსკოვის ჟურნალი „წითელი ვარსკვლავი“.

გან-კონი.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲣᲙᲣᲦᲛᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ყველა საარტილერიო ნაციონალური ნაწილები დაბანაკებული ვართ ერთად. ქართველ, სომეხ, ადერბეიჯანელებს და რუსებ შორის დამოკიდებულება პირდაპირ სამაგალითოა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლებოდა ასეთი დამოკიდებულების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალურ ნაწილების არმიელებს არაფერი არ გაეგებათ ერთმანეთის, მაინც ხშირად არიან ერთმანეთთან, დაიარებიან ხელიხელ ჩაკიდებული და იქ, სადაც ენა ვერა სჭრის, გული და გრძნობა იკაფავს გზას.

იშვიათური ამხანაგური დამოკიდებულებაა მათში.

პირველ რუსულ დივიზიონში ხშირად ეწყობა ინტერნაციონალური საღამოები-წარმოდგენები, რომელიც ხელს უწყობს წითელ არმიელების ერთმანეთთან დაახლოებას და კულტურის გაცნობას.

სცენაზე გამოსული წითელ არმიელები ამა თუ იმ როლების შესრულების დროს გვიხატავენ სხვა და სხვა ტიპებს ამა თუ იმ ნაციონალური თვისებურებით, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს სხვა და სხვა ერების ზნეჩვეულებისა და სხვათა შესწავლის საქმეში. ეს კი აუცილებელია ინტერნაციონალური წითელი არმიისათვის.

სამხკორი **ლ. დგებუაძე.**

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲛᲔᲡᲐᲜᲒᲠᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲥᲕᲘᲨᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ.

16 აგვისტოს ცალკე მესანგრე ასეულის დრამ წრისა და ქვიშხეთის დრამატიული წრის მონაწილეობით გადახდილ იქნა ადგილობრივი კლუბის ერთი წლის არსებობის აღსანიშნავი დღესასწაული.

დადგმული იქნა კომედია „დარისპანის გასაჭირი“.

წარმოდგენის დაწყებამდე აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა მთელი დრამატიული წრის შემადგენლობა ხაშურის რაიონულ კომიტეტთან ერთად.

საზეიმო საღამოს ხსნის ქვიშხეთის საბჭოს თავმჯდომარე.

პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ხაშურის რაიკომის წარმომადგენელი ამხ, კიკალეიშვილი, რომელმაც ვრცლად დაახასიათა კლუბის მნიშვნელობა სოფლის ცხოვრებაში და აღნიშნა, თუ როგორი სარგებლობა მოაქვს კლუბს კულტურულ საქმიანობაში.

შემდეგ წითელი ჯარის სახელით მისასალმებელი სიტყვა სთქვა ამხ. გ. სვანიძემ.

მან ხაზი გაუსვა თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს კლუბს ჯარისა და გლეხობის დაახლოების საქმეში.

ბოლოს ამხანაგი მადლობას უძღვნის წითელი ჯარის სახელით კლუბის გამგეობას.

გამოვიდენ სხვა უპარტიო ამხანაგებიც და ყველა სიხარულით

ეგებებოდა კლუბის არსებობის ერთი წლის თავის დღესასწაულს.

სიტყვების შემდეგ მუსიკამ დააგუგუნა ინტერნაციონალი, რომლის შემდეგ წავიდა პიესა. საღამო ძლიერ კარგად ჩატარდა.

ბოლოს გაიმართა ცეკვა-თამაში. შემდეგ კი მცირე ვახშამი.

ვახშმის დროს ზოგიერთებმა თავი ისახელეს კონტრ-რევოლიუციონური სიტყვებით, რის გამო იქვე იქნენ დაპატიმრებული.

ვ. ნუცუბიძე.

პარტიული ცხოვრება

ლენინიზმი-ჩვენი ჩირაღდანია.

ორი კვირაა მას შემდეგ, რაც პირველ ლეგიონში დაარსებული იქნა პარტიული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ამხ. ხომერიკი.

წრის წევრებათ ითვლებიან, როგორც პარტიის წევრები და კანდიდატები, ისე ყველა კომკავშირის წევრები.

წრის მეცადინეობა ძლიერაა დაკავშირებული კლუბისა და ლენინის კუთხეებთან.

პარტწრის უმთავრესი მიზანია პარტიის ისტორიის შესწავლა ლენინიზმის-თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. სამეცადინო პროგრამა ხელმძღვანელმა მიიღო ლეგიონის ბიურო—კოლექტივისაგან, რომელსაც სხვა და სხვა საკითხები უკვე დამზადებული სახით გადმოაქვს წრეში—მეცადინეობაზე.

მეცადინეობა კარგად მიმდინარეობს, წევრები ძლიერ მუყაითად ეკიდებიან საქმეს, განსაკუთრებით ეს ემჩნევათ წრის წევრებს წითელ არმიელებს; უფპოლიტ შემადგენლობა ცოტას მოიზარმაცეს, სისტემატიურად მეცადინეობას არ ესწრება, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორებული იქნას.

პარტ-წრეს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. აქ მეცადინეობით შესაძლებელია მოვამზადოთ პარტიის აქტიური რეზერვი.

არის წრის მეცადინეობაში კიდევ ერთი ნაკლი:

არა გვაქვს რვეულები და ფანქრები, რომ მსმენელებს შეძლება ქონდეთ ამოიწერონ თემის მთავარი დებულებები. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, რადგან მეცადინეობის საერთო მიმდინარეობას ამით ბევრი რამ აკლდება.

პარტკორი მუქერია.

რაზედ გვწერენ

ასეთი მოქმედება დაუშვებელია.

16 აგვისტოს მეორე ტერ-ლეგიონის ნაწილებმა მოაწყვეს დეზერტირის გასამართლება.

გასამართლება დაიწყო ადგილობრივ საზაფხულო თეატრში, რომლის გვერდზე იმყოფება 1-ლი დივიზიის სკოლა.

შეუდექით თუ არა გასამართლებას, პირველ დივსკოლის უფროსმა მოიწვია მეოთხე ლეგიონის ორკესტრი, რომელმაც დაუკრა საცეკვაო (ლეკური—შამილი) და გაიმართა კურსანტების ცეკვა-თამაში.

თეატრში გასამართლებაზე მყოფი წითელ არმიელები გაიტაცა მუსიკის მხიარულმა ხმებმა, ყველამ გარეთ მიაშურეს და თეატრი თითქმის დაცარიელდა, რამაც ხელი შეუშალა სასამართლოს მსვლელობას.

ნუ თუ ამხ. სკოლის უფროსმა არ იცოდა, რომ მათი საქციელი ხელს შეუშლიდა ამ ფრიად მნიშვნელოვან გასამართლებას. ეს დაუშვებელი საქციელია. იმედია მეორედ მაინც აღარ განმეორდება ასეთი დაუდევრობა.

წით. არმ. **დავით რობაქიძე.**

სამხედრო ტრიბუნალში.

უფროსისადმი შეურაცყოფის მიყენება.

ა. წ. 21 აგვისტოს ქარ. დივიზიის სამხედრო ტრიბუნალმა თავმჯდომარის ლექვეიშვილის და კოლეგიის წევრების ხიხაძის და ქერქაძის შემადგენლობით განიხილა საქმე ცხენოსან ლეგიონის წით. არმიელის შალვა შენგელაიასი, რომელსაც ბრალი ედება უფროსისადმი შეურაცყოფის მიყენებაში, თანახმად 207 მუხლის მეორე ნაწილისა.

სასამართლომ შეურაცყოფის ფაქტი სცნო დამტკიცებულათ. საქმის გამოძიებამ გამოარკვია აგრეთვე, რომ შეურაცყოფის მიყენება შენგელიას მიერ უფროსზედ იყო გამოწვეული ადრე სხვების მიერ ბრალდებულის აღელვებით და არა განზრახი სურვილით. ამის გამო სასამართლომ დაადგინა: ბრალდებული შენგელაია, აღნიშნულ დანაშაულისათვის დასჯილ იქნეს დისციპლინარული წესით და დადგენილება გადაეგზავნოს სათანადო ნაწილის უფროსს სისრულეში მოსაყვანათ.

≡მეცნიერება და ტექნიკა≡

ძლიერ მსწრაფლმავალი წყალქვეშა ნავი.

ინგლისში, ჩატამის ვერფზე ამ დღეებში დამთავრდება წყალქვეშა ნავის X—I აგება, რომელიც იქნება მთელ ქვეყნიერებებზე არსებულ ყველა წყალქვეშა ნავებზე უდიდესი და ყველაზე უფრო მსწრაფლმავალი. მისი მოძრაობის სიჩქარე წყლის ზედაპირზე უდრის 33 საზღვაოსნო მილს საათში, ისე რომ ნავს შეუძლია გვერდში გაყვეს დიდ გემებს მათი ძლიერი და ჩქარი ცურვის განვითარების დროსაც კი. ნავი შეიარაღებული იქნება ექვსი (6) 5 ნახევრიან დიუმიანი ქვემეხებით. მისი წყლის მოცულობა უდრის 9.500 ტონს.

აღნიშნული ნავის შეიარაღებაში მიღწეული გამარჯვება უფრო თვალსაჩინო გახდება თუ შევადარებთ მას ინგლისურ ძველ წყალქვეშა ნავებს, რომელთა წყლის მოცულობა უდრიდა 120 ტონს და წყალქვეშა მოძრაობის სიჩქარე კი 9 საზღვაოსნო მილს.

ავტომობილების შეჯიბრი მსოფლიო რეკორდის მიზნით.

12 ივლისს ინგლისის სამხედრო ავტომობილმა შეჯიბრის დროს, უდიდესი სიჩქარის განვითარებაში აიღო მსოფლიო რეკორდი.

ავტომობილმა ერთი საათის განმავლობაში გაირბინა 230 ვერსი.

უკანასკნელი რეკორდი კი აიღო ტომასმა საფრანგეთში, რომელმაც ერთი საათის განმავლობაში თავის ავტომობილზე გაირბინა 134 ვერსი დაახლოებით.

ინგლისის საზღვაო ძალების დათვალიერება.

ლონდონის კონფერენციის ყველა მონაწილეთა ინგლისის ორივე პალატების წარმომადგენლთა და აუარება ხალხის თანდასწრებით სპიდხედში მეფემ დაათვალიერა ინგლისის მთელი საზღვაო ძალები. მისი თვალის წინ გაიარა 196-მა სამხედრო-საბრძოლო ერთეულმა. მათ შორის მსოფლიო ომისშემდეგ ინგლის ორმოცდა ხუთმეტ კრეისერებიდან დარჩა და ამ ჟამად ყავს 10 კრეისერი.

სამაგიეროთ გამრავლებულია წყალქვეშა ნავების რიცხვი.

მეორე ღირსშესანიშნავი მოვლენა ამ დათვალიერების დროს იყო საჰაერო ფლოტი, რომელიც მეტად გაძლიერებულია წინანდელთან შედარებით.

ყველაზე საინტერესო სანახავს წარმოადგენდა ერთი გემი „გერმესის“ სახელწოდებით, რომელიც სპეციალურად აშენებულია ჰაეროპლანების გადასაზიდავად.

საყურადღებო იყო აგრეთვე წყალქვეშა ნავი № 1., რომლის სიგრძე უდრის 300 ფუტს და აქვს 1950 ტონი წყლის მოცილობა. ნავი შეიარაღებულია 12—დიუმიანი ქვემეხით, რომელსაც შეუძლია მოქმედება ნავის 20 ფუტის წყლის სიღრმეში ყოფნის დროსაც კი. წყლის ზენაპირზე მოსჩანს მხოლოდ პერისკოპი და ქვემეხის ლულა.

ახალი ამბები.

— **სამხ. ტრიბუნალში.** დღეს სამხედრო ტრიბუნალში გაირჩევა ც. ლ. წითელი მოლაშქრის ალექსი ბოყვაიშვილის საქმე, ბრალდება: დეზერტირობა, სახაზ. ქონების გაფლანგვა და სხვ.

— **საქმის გადადება.** 21 აგვისტოსათვის გასარჩევათ დანიშნული ჯმუხაძის საქმე გადაიდო შემდეგისათვის.

— **ახალი ტფილისი.** ქალაქის აღმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილება ამ ჟამად იმუშავებს ტფილისი მოწყობის ახალ გეგმას. ტფილისის და მისი მიდამოები დაგეგმულ იქნება სულ სხვანაირათ და ახლო მომავალში ტფილისი სრულიად გალამაზებული იქნება.

— **ქუჩების განათება.** ელექტსადგურების სამმართველო იმუშავებს გეგმას ქუჩების განათების შესახებ. შეძენილი იქნება ახალი ელექტრო ფარნები, რომელნიც არ გაფუჭდებიან ქარიან და ავდრიან ამინდში.

— **ბიბლიოთეკის გადახალისება.** გადახალისებულია და შევსებულია უკანასკნელი გამოცემებით სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა ბიბლიოთეკა (ყოფილი პუშკინის). წიგნების გაცემა სწარმოებს ყოველ დღე ორშაბათობის გარდა.

— **უმუშევართა გაწმენდა.** საქ. შრომის კომისარიატმა დაადგინა მთელ რესპუბლიკაში დასრულდეს უმუშევართა გაწმენდა 15 სექტემბრისათვის.

— **ლოთობის წინააღმდეგ.** ტფილისის მილიცია დიდ ენერგიულ ზომებს ღებულობს ლოთობის წინააღმდეგ. ორი თვის განმავლობაში დაპატიმრებულ იქნა ამის გამო 288 კაცი.

— **ღვდლების გაკრეჭა.** შორაპნის მაზრაში 24 ღვდელმა გაიხადა ანაფორა და შეუდგენ მიწის დამუშავებას.

— **ბინის ქირის ახალი ტარიფი.** ქალ. აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველომ განიზრახა 1-ლი სექტემბრიდან შემოიღოს ახალი საბინაო ტარიფი.

— **ავტომატიური ტელეფონები.** ამჟამად ტფილისში მოქმედობენ 60 ავტომატიური ტელეფონები. მომავალიდან მათი რიცხვი გამრავლებული იქნება ასამდე.

— **ცოფიანი ძაღლები.** უკანასკნელათ სოფლებში ძლიერ გახშირდა ძაღლების ცოფით დაავათმყოფება. მარტო ეკატერინოფელდში ცოფიან ძაღლებით დაკბენილი ჩაუყვანიათ 60 კაცი.

— **ახალი საბინაო ამხანაგობა.** მელითონეთა კავშირის წევრებმა დაარსეს ახალი საბინაო—საამშენებლო ამხანაგობა.

— **გლეხკომების ფონდისათვის.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა განიზრახა მოაწყოს გლეხკომების ფონდის გასაძლიერებლათ ლატარია, რომელიც შესდგება ერთი თვის შემდეგ.

— **წარმოკავშირის მუშაობა.** წარმოკავშირი ამჟამად აერთიანებს 13 მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობას, 10—მებაღეთა, 3—მეთამბაქოეთა და 6—მეცხვარეთა ამხანაგობებს.

ხელოვნების ამბები.

— **ახალი რევოლიუციონური კინო-სურათი.** სახელმწიფო კინომრეწველობა ამჟამად იღებს ახალ რევოლიუციონურ კინო-სურათს სახელათ „წინა დღით“. სცენარი დაწერილია კ. მარჯანიშვილის და შ. დადიანის მიერ.

— **მუსიკალური მუშფაკები.** მომავალ სამოსწავლო წლიდან ტფილისში გაიხსნება 3 მუსიკალური მუშათა ფაკულტეტი.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. მატიანეს. თქვენი წერილი: „მეორე დივიზიის სტუმრები“ არ დაიბეჭდება. ამ შინაარსის წერილი უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში.

ამხ. მაჩაიძეს. თქვენი წერილი: „საჭიროა მიექცეს ყურადღება“ გადაეგზავნა დივიზიის სამხედრო კომისარს.

ამხ. ონოფრიადს. თქვენი კორესპონდენცია „იმპერიალისტური ომი—სამოქალაქო ომათ შევცვალოთ“—ძლიერ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება. სხვა თქვენი წერილები მივიღეთ.

ამხ. პარტკორს. წერილი „პარტიული მუშაობა ქართულ არტილერიაში“ არ დაიბეჭდება, თუ არ გვაცნობეთ თქვენი სახელი და გვარი.

ამხ. ბიკე ჯუმისპირელს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

ქართული სამხედრო სარედაქციო საგამომცემლო კოლეგია

შეუდგა ტერმინების კრებულის ბეჭდვას, ქართულ-რუსულის და რუსულ-ქართულის.

კრებულში მოთავსებულია გარდა წმინდა სამხედრო ტერმინებისა აგრეთვე ყველა ის სამეცნიერო სატეხნიკო ტერმინები, რომელნიც კი იხმარებიან სამხედრო ლიტერატურაში.

კრებული განხილული და დადასტურებულია რესპუბლიკის უმაღლეს სამეცნიერო საბჭოს მიერ.

კრებული შეიცავს დაახლოვებით 3500 ტერმინს. კრებული ეღირება—ერთი მანეთი და 50 კ.

კოლეგია სთხოვს ყველა სამხედრო და იმ სამოქალაქო დაწესებულებებს, რომელთაც ასეთი კრებული ესაჭიროებათ, ეხლავე აცნობონ კოლეგიას, თუ რამდენი ცალი კრებულისა დასჭირდება მათ.

კოლეგიის მისამართი: კეცხოველის ქუჩა (ყოფილი ლორის-მელიქოვისა) № 3.

განცხადება

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო ცოდნათა კლუბთან არსებულ

სამხატვრო ინსტიტუტში

მიღება გრძელდება. ინსტიტუტში არსებობს სხვა და სხვა განყოფილებები: **მოზაიკის, გრაფიკის, ხატვის, ქანდაკების და კომპოზიციის.** წითელ არმიელები და პროფკავშირთა წევრები მივლინებით სწავლის ფულს არ იხდიან.

თხოვნები მიიღება ინსტიტუტში საღამოს 6—9-დე.

პლეხანოვის ქუჩა, № 143.

დაიკარგა კომპარტიის კანდიდატობის მოწმობა № 119 გაცემული ერმილე გაბრიელის-ძე წუმწუმიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.